# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000059501539918

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com


№ **17** **07 / მაისი / 2018 წ.**

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. საკობიანოში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის 14.5კვ.მ ფართის, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 122-ე მუხლის 4-ე პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. საკობიანოში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ50.05.33.092) მეორე სართულზე განთავსებული 14.5კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, წლიური ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

   - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით -**120,0** (ას ოცი) ლარი;

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი